საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2332-03
09/12/2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან წარმომადგენლობით საბჭოში წევრობის კანდიდატების (სტუდენტი) არჩევნების ჩატარების თარიღისა და დროის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-14 მუხლის, მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-3 და მე-4 მუხლების საფუძველზე, რექტორის 2022 წლის 1 დეკემბრის N2289-03 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. სამართლის სკოლიდან წარმომადგენლობით საბჭოში წევრობის კანდიდატად სტუდენტური კვოტიდან დარეგისტრირებულია სამართლის სკოლის შემდეგი აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი:

   სამაგისტრო საფეხურის სტუდენტი - ანა ჩიქოვანი

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის (სტუდენტური კვოტა) კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2022 წლის 14 დეკემბერს B201 აუდიტორიაში, 10:00-დან 18:00-საათამდე.
3. წარმომადგენლობითი საჭოს წევრობის (სტუდენტები) კანდიდატთა არჩევნებში მონაწილეობს სმართლის სკოლიდან ყველა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. თუ სტუდენტი ირიცხება ერთდროულად უნივერსიტეტის ერთზე მეტ ფაკულტეტზე/სკოლაში, ის შეიყვანება იმ ფაკულტეტის/სკოლის სიაში, სადაც სწავლობს Major პროგრამაზე.
4. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს ირინე ბაზღაძეს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის საჯარო წესით გაცნობა სამართლის სკოლის სტუდნეტებისათვის ,,არგუსის" მეშვეობით;
5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, სამართლის სკოლას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი